სს „ქარფესტი“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

შინაარსი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება 3

სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება 4

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ინდივიდუალური ანგარიშგება 5

ფულადი ნაკადების ინდივიდუალური ანგარიშგება 6

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა 7
2. მომზადების საფუძველი 7
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა 7
4. ფული და ფულის ეკვივალენტები 13
5. მარაგები 13
6. აქტივების გამოყენების უფლება (იჯარა) 14
7. არამატერიალური აქტივები 14
8. ძირითადი საშუალებები 16
9. სააქციო კაპიტალი 18
10. საიჯარო ვალდებულებები 18
11. წასესხები სახსრები 18
12. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი 20

ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში)

	შენიშვნები	2022	2021
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	4	8	24
სავაჭრო მოთხოვნები		27	271
გადახდილი ავანსები		42	1,589
მარაგები	5	24	3,472
აქტივის გამოყენების უფლება	6	-	281
არამატერიალური აქტივები	7	-	14
ძირითადი საშუალებები	8	-	335
სხვა მოთხოვნები		-	22
სულ აქტივები		**101**	**6,008**
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	9	2,307	2,307
გაუნაწილებელი მოგება		(2,840)	(1,978)
სულ საკუთარი კაპიტალი		**(533)**	**329**
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები		-	348
გამოუმუშავებელი შემოსავლები		-	1,539
საიჯარო ვალდებულებები	10	-	536
ნასესხები სახსრები	11	359	3,176
სხვა ვალდებულებები		275	80
სულ ვალდებულებები		**634**	**5,679**
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		**101**	**6,008**

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად სს „ქარფესტის“ ხელმძღვანელობის მიერ:

ქეთევან ახვლედიანი — გენერალური დირექტორი

2023 წ. 11 სექტემბერი

7-17 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში)

	შენიშვნები	**2022**	**2021**
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	4	8	24
სავაჭრო მოთხოვნები		27	271
გადახდილი ავანსები		42	1,589
მარაგები	5	24	3,472
აქტივის გამოყენების უფლება	6	-	281
არამატერიალური აქტივები	7	-	14
ძირითადი საშუალებები	8	-	335
სხვა მოთხოვნები		-	22
სულ აქტივები		**101**	**6,008**
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	9	2,307	2,307
გაუნაწილებელი მოგება		(2,840)	(1,978)
სულ საკუთარი კაპიტალი		**(533)**	**329**
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები		-	348
გამოუმუშავებელი შემოსავლები		-	1,539
საიჯარო ვალდებულებები	10	-	536
ნასესხები სახსრები	11	359	3,176
სხვა ვალდებულებები		275	80
სულ ვალდებულებები		**634**	**5,679**
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		**101**	**6,008**

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად სს „ქარფესტის“ ხელმძღვანელობის მიერ:

ქეთევან ახვლედიანი — გენერალური დირექტორი

2023 წ. 11 სექტემბერი

7-17 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)

	შენიშვნები	**2022**	**2021**
შემოსავალი ავტომობილებების რეალიზაციიდან		6,990	19,083
რეალიზებული ავტომობილებების თვითღირებულება		(7,115)	(18,100)
საერთო მოგება ავტომობილებების რეალიზაციიდან		**(125)**	**983**
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		(463)	(529)
ცვეთის ხარჯი		(107)	(196)
საპროცენტო ხარჯი		(97)	(258)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	12	(191)	(811)
სხვა საოპერაციო შემოსავლები		20	75
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება		**(963)**	**(736)**
საკურსო ზარალი/შემოსულობა		100	138
საპროცენტო შემოსავალი		1	6
წმინდა მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი		**(862)**	**(592)**
მიკუთვნებადი შემდეგი პირებისთვის:			
მშობელი კომპანიის აქციონერები		**(647)**	**(444)**
არასაკონტროლო პაკეტის მფლობელები		**(215)**	**(148)**
წმინდა მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი		**(862)**	**(592)**

7-17 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ინდივიდუალური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)

	შენიშვნები	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ საკუთარი კაპიტალი
31 დეკემბერი, 2020 წ.		**10**	**(1,386)**	**(1,376)**
მთლიანი სრული შემოსავალი		-	(592)	**(592)**
კაპიტალის გამოშვება		2,297	-	**2,297**
31 დეკემბერი, 2021 წ.		**2,307**	**(1,978)**	**329**
მთლიანი სრული შემოსავალი		-	(862)	**(862)**
31 დეკემბერი, 2022 წ.		**2,307**	**(2,840)**	**(533)**

7-17 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფულადი ნაკადების ინდივიდუალური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)

	2022	2021
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(2,514)	(3,608)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(5)	(40)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(2,516)	3,547
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	**(7)**	**(101)**
სავალუტო კურსის ეფექტი	(9)	(21)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვრის მდგომარეობით	24	146
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, 31 დეკემბერი	**8**	**24**

7-17 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

1. ძირითადი საქმიანობა

სააქციო საზოგადოება „ქარფესტი“ (შემდგომში, „კომპანია“) (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405239727) 2017 წლის 17 ნოემბერს დაარსდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის ძირითადი საოპერაციო საქმიანობა უკავშირდება მეორადი ავტომობლების რეალიზაციას. კომპანია მომხმარებლებს სთავაზობს შემოწმებულ და გამართულ ავტომობილებს.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი, N 20.

2022 წლის 31 დეკემბრისთვის „სს ქარფესტის“ 75%-იანი წილის მფლობელი იყო სს „ა გრუფი“, ხოლო 25%-იანი წილის მფლობელი იყო შპს „რედბერი“ (2020 წ.: სს „ა გრუფი“: 75%; შპს „რედბერი“: 25%)

2. მომზადების საფუძველი

ზოგადი ინფორმაცია

კომპანიის წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოებისთვის განკუთვნილი ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტისა (მსს ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდით, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც განხილულია ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში. ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული. ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში მუხლების თანმიმდევრულობა მოცემულია ლიკვიდურობის ხარისხის მიხედვით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება სალაროში ნაღდი ფულისგან, მიმდინარე ანგარიშებისა და საბანკო ანაბრებისგან, რომელთაც აქვთ განთავსებიდან სამი თვის ვადა და თავისუფალნი არიან სახელშეკრულებო ვალდებულებებისაგან.

ფინანსური აქტივები

ფინანსური ინსტრუმენტების აღრიცხვისთვის კომპანიას არჩეული აქვს ბასს 39-ის გამოყენების მიდგომა. ბასს 39-ის სტანდარტის შესაბამისად, ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ და მოგებასა და ზარალში ასახულ ფინანსურ აქტივებად, სესხებად და მოთხოვნებად, დაფარვის ვადამდე მფლობელობაში არსებულ ფასიან ქაღალდებად ან გასაყიდად გამიზნულ ფინანსურ აქტივებად.

ფინანსური აქტივების თავდაპირველი აღიარებისას მათი აღრიცხვა ხდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება უშუალოდ გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯები მხოლოდ იმ ინვესტიციების შემთხვევაში, რომლებიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით და ასახული მოგებაში ან ზარალში. კომპანია თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი პირველადი აღიარებისას.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა მოხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის იურიდიული უფლება და შემხვედრი მოთხოვნების ურთიერთგაქვითვის ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულებების დაფარვის განზრახვა. შემოსავალი და ხარჯი სრული შემოსავლის ანგარიშგებაში არ გაიქვითება, თუ ეს არ მოითხოვება ან დაიშვება ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტით ან ინტერპრეტაციით, რომლის შესახებაც საგანგებოდ მიეთითება კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში.

მარაგები

კომპანია მარაგების აღრიცხვას ახორციელებს მსს ფასს-ის და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად. კომპანია მარაგებს აფასებს თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. მარაგის თვითღირებულება მოიცავს ისეთ ხარჯებს როგორიცაა: მარაგის შეძენისა და ასევე ისეთი დანახარჯები, რომელიც პირდაპირ არის მიკუთვნებადი ავტომანქანების გაყიდვისთვის, მათ შორის, შესყიდული ავტომანქანების ღირებულებას, პირდაპირ შრომით დანახარჯებს, ავტომანქანის ტრანსპორტირების ხარჯს და სხვა ხარჯებს, რომლებიც უკავშირდება კლიენტისთვის ავტომანქანის მიყიდვას.

აქტივების გაუფასურება

კომპანია თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის აფასებს, გაუფასურდა თუ არა აქტივი ან აქტივების სფი.

მარაგების გაუფასურება

კომპანია ყოველი საანგარიშო თარიღისთვის აფასსებს ხომ არ გაუფასურდა მარაგი. კომპანია ამგვარ შეფასებას ახორციელებს თითოეული სახის მარაგის საბალანსო ღირებულების შედარებით გასაყიდ ფასთან, რომელიც შემიცრებულია პროდუქტის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით. თუ მარაგი გაუფასურებულია კომპანია ამცირებს მარაგის საბალასო ღირებულებას მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასამდე და მარაგის ღირებულების შემცირების თანხის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში.

სხვა აქტვიების გაუფასურება (გარდა მარაგისა)

ყოველი საანგარიშო თარიღისთვის კომპანია განსაზღვრავს არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. თუ არსებობს ასეთ ნიშნანი საწარმო აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას, იმ შემთხვევაში თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბლანსო ღირებულებაზე, კომპანია ამცირებს საბალანსო ღირებულებას ანაზღაურებად ღირებულებამდე. წარმოქმნილი გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული აქტივები

დაგირავებული ფინანსური აქტივის სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულების გამოთვლა ასახავს ფულად ნაკადებს, რომლებიც გამომდინარეობს დაგირავებული ქონების გამოსყიდვის უფლების ჩამორთმევიდან, რასაც აკლდება უზრუნველყოფის საგნის მიღებასთან და რეალიზაციასთან დაკავშირებული ხარჯები, იმისდა მიუხედავად, მოსალოდნელია თუ არა უზრუნველყოფის საგნის გამოსყიდვის უფლების ჩამორთმევა.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

აქტივების გაუფასურება (გაგრძელება)

კომპანია ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივების შემთხვევაში ინდივიდუალურად, ხოლო ინდივიდუალური მნიშვნელობის არმქონე ფინანსური აქტივების შემთხვევაში ინდივიდუალურად ან კოლექტიურად აფასებს, არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური საფუძველი. თუ დადგინდა, რომ ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივის (განურჩევლად იმისა, მნიშვნელოვანია ის თუ არა) გაუფასურების ობიექტური საფუძველი არ არსებობს, ეს აქტივი შევა მსგავსი საკრედიტო რისკების მქონე ფინანსური აქტივების ჯგუფში და ფინანსური აქტივების ეს ჯგუფი გაუფასურებასთან მიმართებაში ფასდება კოლექტიურად.

აქტივები, რომელთა გაუფასურება ფასდება ინდივიდუალურად და რომელთათვისაც ხდება გაუფასურების ზარალის აღიარება, არ შედის გაუფასურებასთან მიმართებაში აქტივების კოლექტიურად შეფასების პროცესში

თუ მომდევნო პერიოდში, გაუფასურებით გამოწვეული ზარალი შემცირდება და ეს შემცირება შეიძლება ობიექტურად დაუკავშირდეს გაუფასურების შემდეგ მომხდარ მოვლენას, ხდება მანამდე აღიარებული გაუფასურებით გამოწვეული ზარალის აღდგენა. გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ნებისმიერი შემდგომი აღდგენის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში ისე, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს მის ამორტიზებულ ღირებულებას აღდგენის თარიღისთვის.

უიმედო აქტივი ჩამოიწერება გაუფასურების შესაბამისი რეზერვიდან ყველა საჭირო პროცედურის ჩატარებისა და ზარალის ოდენობის განსაზღვრის შემდეგ. ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება მოგება-ზარალის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში ამცირებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯს.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივის კომპანიის ნაწილის) ჩამოწერა ხდება თუ:

► ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა;

► კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და

► კომპანიამ (ა) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

იმ შემთხვევაში, თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება და არ გადაუცია ძირითადი რისკები და სარგებელი ან კონტროლი აქტივზე, კომპანიის მიერ აქტივის აღიარება ხდება მონაწილეობის შენარჩუნების პირობით. მონაწილეობის შენარჩუნება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, აისახება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და კომპანიის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება. ამ თანხაში შედის ძირითადი საშუალების ნაწილის ჩანაცვლების ღირებულება ამ ხარჯის დადგომისას, თუ აღიარების კრიტერიუმები დაცულია.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გაუფასურების შეფასება ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შესაძლოა ვერ მოხერხდეს. გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგები სრული შემოსავლის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში აღირიცხება ხარჯად.

აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში გაშვება. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

	წელი
საოფისე შენობები	50
ავეჯი და მოწყობილობები	5-10
კომპიუტერული ტექნიკა და აღჭურვილობა	5-10
სატრანსპორტო საშუალებები	5

საიჯარო ქონების გაუმჯობესებების ცვეთა ხდება შესაბამისი საიჯარო აქტივის მთლიანი ვადის განმავლობაში, ან იჯარის მოსალოდნელ ვადაზე, თუ ეს უკანასკნელი უფრო ხანმოკლეა.

აქტივების ნარჩენი ღირებულების, სასარგებლო მომსახურების ვადისა და მეთოდების გადახედვა და შესაბამისად კორექტირება საჭიროებისამებრ ხდება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს.

შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისას და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი.

ამა თუ იმ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) შედის იმ წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როდესაც ხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა.

დაუსრულებელი მშენებლობა მოიცავს დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება ძირითადი საშუალების მშენებლობას, მათ შორის მშენებლობის განმავლობაში გაწეული შესაბამისად განაწილებული პირდაპირი ცვლადი ხარჯები და ფიქსირებული ზედნადები ხარჯები. ასეთი აქტივების ცვეთა, მსგავსი ძირითადი საშუალების ანალოგიურად, იწყება მაშინ, როდესაც აქტივები ექსპლუატაციისთვის მზად არის.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები ღრიცხულია თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურება. ამ თანხაში შედის აქტივების ნასყიდობის ფასი, მათ შორის უშუალოდ აქტვის დანიშნულებისამბერ გამოსაყენებლად გაწეული დანახარჯები.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ნასესხები სახსრები

ნასესხები სახსრები თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების ხარჯები.

პირველადი აღიარების შემდეგ მათი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შემოსულობის და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ნასესხები სახსრების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

სააქციო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები საკუთარ კაპიტალად არის კლასიფიცირებული. გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე მეტი ნებისმიერი სამართლიანი ღირებულების მქონე მიღებული საფასური აღირიცხება, როგორც დამატებით შეტანილი კაპიტალი.

შემოსავლის და ხარჯის აღიარება

შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია შემოსავლის სარწმუნოდ შეფასება. შემოსავლისა და ხარჯის აღიარებამდე ასევე აუცილებელია შემდეგი კონკრეტული აღიარების კრიტერიუმების დაკმაყოფილება:

შემოსავალი ავტომანქანებით ვაჭრობიდან

შემოსავლის აღიარება ხდება იმისათვის, რომ ასახოს დაპირებული საქონლის მომხმარებლებისთვის გადაცემა იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც საწარმო მოელის ამ საქონლის სანაცვლოდ. საქონელი გადაცემულად ითვლება მაშინ, როდესაც მომხმარებელი მოიპოვებს მასზე კონტროლს. კომპანია ავტომანქანების გაყიდვიდან მიღებულ შემოსავალს აღიარებს ავტომანქანის კლიენტისთვის ჩაბარებისას.

საპროცენტო და მსგავსი შემოსავალი და ხარჯი

ყველა სასესხო ფინანსური ინსტრუმენტის შემთხვევაში, საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის ის განაკვეთი, რომელიც მოსალოდნელ სამომავლო ფულად გადახდებს/შემოსავლებს ფინანსური ინსტრუმენტის სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის, ან სადაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში ადისკონტირებს ფინანსური აქტივის თუ ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

გაანგარიშება ითვალისწინებს ფინანსური ინსტრუმენტის ყველა სახელშეკრულებო პირობას (მაგალითად, წინასწარი გადახდის შესაძლებლობას) და მოიცავს ნებისმიერ საკომისიო თანხას და დამატებით ხარჯს, რომელიც პირდაპირ განეკუთვნება ინსტრუმენტს და წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარდა სამომავლო საკრედიტო ზარალისა. ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულება კორექტირდება თუ კომპანია გადახედავს მის მიერ დასაფარი თუ მისაღები სავარაუდო თანხების შეფასებას. კორექტირებული საბალანსო ღირებულება გამოითვლება თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე დაყრდნობით და საბალანსო ღირებულების ცვლილება აღირიცხება, როგორც საპროცენტო შემოსავალი თუ ხარჯი.

როდესაც ფინანსური აქტივის თუ მსგავსი აქტივების ჯგუფის ღირებულება მცირდება გაუფასურებით გამოწვეული ზარალის გამო, საპროცენტო შემოსავლის აღიარება გრძელდება ახალ საბალანსო ღირებულებაზე თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გადასახადები

სამეურნეო სუბიექტების მიერ მიღებული წლიური მოგება საქართველოში არ იბეგრება, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა. მოგების გადასახადი ირიცხება დივიდენდებზე, შეწირულობებზე, ზენორმატიულ დანაკარგებზე, ბიზნესთან დაუკავშირებულ ხარჯებზე და სხვ. დივიდენდის გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდი გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. მოგების გადასახადის განაკვეთი საქართველოში 15%-ია.

საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებმაც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება გარიგების დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების გადაანგარიშების შედეგად მიღებული შემოსულობის და ზარალის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში, როგორც საკურსო სხვაობიდან მიღებული შემოსულობა/(ზარალი).

სხვაობები უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციის სახელშეკრულებო გაცვლით კურსსა და სებ-ის გაცვლით კურსს შორის ოპერაციის დღეს შესულია საკურსო მოგების/ზარალის მუხლში. სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად, იყო 3.0976 და 3.2766 ლარი 1 აშშ დოლართან მიმართებით.

იჯარა

კომპანია იჯარის აღიცხვას ახორციელებს მსს ფასს-ის და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ფინანსური იჯარის შემთხვევაში კომპანია, როგორც მოიჯარე იჯარის ვადის დაწყებისათვის აღიარებს მის უფლებებს აქტივის გამოყენებაზე და ვალდებულებებს ფინანსურ იჯარაზე ფინანსური მდგომარეობის ფორმაში, როგორც აქტივებს და ვალდებულებებს საიჯარო აქტივის რეალური ღირებულების ტოლი თანხით ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში.
ჩვეულებრივი იჯარის დროს კომპანია როგორც მოიჯარე საიჯარო გადასახადებს წრფივი მეთოდით აღიარებს ხარჯად სრული შემოსავლის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში, გარდა ისეთი მომსახურების დანახარჯებისა, როგორიცაა დაზღვევა და აქტივის მიმდინარე ტექმომსახურება.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

4. ფული და ფულის ეკვივალენტები

31 დეკემბრისთვის ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს შემდეგს:

	2022	***2021***
მიმდინარე ანგარიშები	8	24
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, სულ	**8**	**24**

5. მარაგები

2022 წლისთვის კომპანიის მარაგები მოიცავს 2 ერთეულ ავტომობილს (2021 ში -157 ერთეული). კომპანიის მარაგები საკლასიფიკაციო ჯგუფების (ავტომობილების მარკის) მიხედვით ასეთია:

	2022	**2021**
ოპელი	24	-
9-ტოიოტა	-	716
ჰიუნდაი	-	442
მერსედესი	-	364
ფიატი	-	338
შევროლე	-	248
ფორდი	-	234
ჰონდა	-	198
ბეემვე	-	169
მიცუბიში	-	131
ნისანი	-	110
ლექსუსი	-	94
სხვა	-	428
მარაგები, სულ	**24**	**3,472**

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

6. აქტივების გამოყენების უფლება (იჯარა)

აქტივების გამოყენების უფლების მოძრაობა ასეთია

	შენობები
თვითღირებულება	
31 დეკემბერი, 2019 წ.	**106**
შემოსვლები	88
შეწყვეტა	(28)
31 დეკემბერი, 2020 წ.	**166**
შემოსვლები	368
შეწყვეტა	-
31 დეკემბერი, 2021წ	**534**
შემოსვლა	
შეყვეტა	(237)
31 დეკემბერი, 2022 ნ	**297**
დაგროვილი ცვეთა	
31 დეკემბერი, 2019 წ.	**44**
ცვეთის დანარიცხი	73
31 დეკემბერი, 2020წ	**117**
ცვეთის დანარიცხი	136
31 დეკემბერი, 2021ნ	**253**
ცვეთის დანარიცხი	45
31 დეკემბერი, 2022ნ	**298**
წმინდა საბალანსო ღირებულება	
31 დეკემბერი, 2020 წ.	**49**
31 დეკემბერი, 2021 წ.	**281**
31 დეკემბერი, 2022ნ.	**0**

7. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების მოძრაობა ასეთია

	არამატერიალური აქტივები
თვითღირებულება	
31 დეკემბერი, 2019 წ.	**-**
შემოსვლები	**2**
გასვლები	**-**
31 დეკემბერი, 2020 წ.	**2**
შემოსვლები	12
გასვლები	**-**
31 დეკემბერი, 2021 ნ.	**14**
შემოსვლები	**1**
გასვლები	**0**
31 დეკემბერი, 2022 ნ.	**15**

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

დაგროვილი ცვეთა	
31 დეკემბერი, 2019 წ.	**-**
ცვეთის დანარიცხი	0
31 დეკემბერი, 2020წ	**0**
ცვეთის დანარიცხი	**-**
31 დეკემბერი, 2021წ	**0**
ცვეთის დანარიცხი	**15**
31 დეკემბერი, 2022წ	**15**

წმინდა საბალანსო ღირებულება

31 დეკემბერი, 2020 წ.	**2**
31 დეკემბერი, 2021 წ.	**14**
31 დეკემბერი, 2022 წ.	**0**

7-17 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

8. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების მოძრაობა ასეთია

	ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი	*ეჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა*	*სულ აქტივები*
თვითღირებულება			
31 დეკემბერი, 2019 წ.	**103**	**222**	**325**
შემოსვლები	27	24	51
გასვლები	-	-	-
31 დეკემბერი, 2020 წ.	**130**	**246**	**376**
შემოსვლები	89	5	94
გასვლები	(4)	-	(4)
31 დეკემბერი, 2021 წ.	**215**	**251**	**466**
შემოსვლები	13	-	13
გასვლები	(203)	(251)	(454)
31 დეკემბერი, 2022 წ.	**25**	**-**	**25**
დაგროვილი ცვეთა			
31 დეკემბერი, 2019 წ.	**13**	**11**	**24**
ცვეთის დანარიცხი	24	23	47
გასვლები	-	-	-
31 დეკემბერი, 2020წ	**37**	**34**	**71**
ცვეთის დანარიცხი	34	30	64
გასვლები	(4)	-	(4)
31 დეკემბერი, 2021წ	**67**	**64**	**131**
ცვეთის დანარიცხი	45	3	48
გასვლები	(90)	(63)	(153)
31 დეკემბერი, 2022წ	**25.2**	**4**	**25.2**

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

31 დეკემბერი, 2020 წ.	**93**	**212**	**305**
31 დეკემბერი, 2021 წ.	**148**	**187**	**335**
31 დეკემბერი, 2022 წ.	**-**	**-**	**-**

7-17 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

9. სააქციო კაპიტალი

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ნებადართულ ჩვეულებრივ აქციათა რაოდენობა იყო 2,410,000 (2020: 1,000,000), რომელთაგან თითოეულს ნომინალური ღირებულება შეადგენდა ერთ ლარს.

2021 წლის ოქტომბერში კომპანიამ განახორციელა ახალი აქციების ემისია, სულ 2,296,832 აქციის ოდენობით, საიდანაც 574,208 ცალი ჩვეულებრივი აქცია განთავსდა შპს „რედბერიზე“, ხოლო 1,722,624 აქცია განთავსდა სს „ა გრუფზე“. შესაბამისად 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სულ გამოშვებული 2,306,832 ნებადართული აქციიდან 75%-ის (1,730,124 ცალი აქცია) მფლობელია სს „ა გრუფი“ (2020: 7500 ცალი აქცია), ხოლო 25%-ის (576,708 ცალი აქცია) მფლობელია შპს „რედბერი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 405060419) (2020: 2500 ცალი აქცია).

კომპანიის საწესდებო კაპიტალში აქციონერთა მიერ შენატანი ხორციელდებოდა ლარში, შესაბამისად, კაპიტალი უნდა განაწილდეს დივიდენდის ან სხვა სახით მხოლოდ ლარში.

10. საიჯარო ვალდებულებები

საიჯარო ვალდებულებების მოძრაობა ასე გამოიყურება.

	შენობები
1 იანვარი 2019	**107**
შემოსვლა	88
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე	9
შეწყვეტა	(28)
სავალუტო კურსის მოძრაობა	20
31 დეკემბერი 2020	**196**
შემოსვლა	368
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე	27
შეწყვეტა	3
სავალუტო კურსის მოძრაობა	(25)
გადახდა	(33)
31 დეკემბერი 2021	**536**
შემოსვლა	-
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე	9
შეწყვეტა	(237)
სავალუტო კურსის მოძრაობა	(28)
გაქვითქვა აქტივთან	(281)
გადახდა	-
31 დეკემბერი, 2022	**0**

11. ნასესხები სახსრები

31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მიერ ნასესხები სახსრები შემდეგია:

	2022	***2021***
მიღებული სესხი	359	3,176
სულ ნასესხები სახსრები	**359**	**3,176**

7-17 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

კომპანიის ნასესხები სახსრები შედგება დაკავშირებული მხარეებისგან, კერძოდ სს „საქართველოს კაპიტალისგან“ 2021 წლის დეკემბერში 7%-იანი საპროცენტო განაკვეთით აღებულ სესხს, 1548 ლარის ოდენობის ძირითადი თანხა უნდა დაიფაროს 2023 წლის დეკემბრამდე.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

12. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები ასე ნაწილდება:

	2022	2021
მარკეტინგი და რეკლამა	(100)	(598)
საწვავი	(13)	(30)
საოფისე მარაგები	(9)	(26)
საოპერაციო გადასახადები	(4)	(22)
საკომუნიკაციო მომსახურება	(15)	(15)
კომუნალური მომსახურება	(5)	(15)
სხვა	(45)	(105)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი, სულ	**(191)**	**(811)**

7-17 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია